

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
დადგენილება №18
2012 წლის 1 მაისი ქ. ბათუმი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და
სამშენებლო ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების
შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია.

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის თანდართული დებულება.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის სახელმწიფო კონტროლი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანდართული დებულების შესაბამისად განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 16 (თექვსმეტი) ერთეულით. (28.05.2014 N 20)

5. დადგენილება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ამოქმედების დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე

ლ. ვარშალომიძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია (შემდგომში – ლაბორატორია) არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე

შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება), რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში.

2. ლაბორატორია არის სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ნაკეთობების, აგრეთვე სხვადასხვა სახის საინჟინრო-ტექნიკური დანადგარ-მოწყობილობების ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის დაწესებულება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ლაბორატორია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა (შემდგომში – მთავრობა) და სამინისტროს წინაშე. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად ლაბორატორიას გააჩნია სპეციალური უფლებამოსიანობა. ლაბორატორია უფლებამოსილი არ არის განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომლის უფლებაც მას მინიჭებული არა აქვს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ან/და ამ დებულებით.

4. ლაბორატორია კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

5. ლაბორატორიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. ლაბორატორიის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N90ა.

მუხლი 2. ლაბორატორიის მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილება

1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ლაბორატორიის მიზნებია:

ა) შენობა-ნაგებობებისა და დანადგარ-მოწყობილობების მშენებლობის, მონტაჟის, დემონტაჟისა და ექსპლუატაციისას ტექნიკური დანადგარ-მოწყობილობების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების ტექნიკური პარამეტრების გამოკვლევა, ანალიზის ჩატარება და ვარგისიანობის დადგენა;

ბ) შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური დანადგარ-მოწყობილობების მშენებლობასა და მონტაჟის პერიოდში ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნებისა და ტექნიკური პარამეტრების სერტიფიკატების მონაცემებთან შესაბამისობის დადგენა.

2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალიზირებული სტაციონარული მოწყობილობების, მობილური აპარატებისა და შესაბამისი სპეციალისტების მეშვეობით ლაბორატორიის ფუნქციებია ლაბორატორიული კვლევებისა და გამოცდების ორგანიზება, კერძოდ:

ა) მომეტებული საფრთხისა და საფრთხის შემცველი ობიექტების დიაგნოსტიკა კონტროლის არამრღვევი და მრღვევი მეთოდებით;

ბ) კონკრეტულ ობიექტზე, გამოყენებული საშენი მასალების (ბეტონი, არმატურა) სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრა;

გ) ცალკეული ობიექტებისთვის ბეტონის ოპტიმალური რეცეფტების შედგენა;

დ) სპეციალური დანიშნულების ობიექტებზე გამოყენებულ ბეტონებში წყალშედ-
წვეადობის კოეფიციენტის განსაზღვრა;

ე) საავტომობილო გზების ასფალტის და ასფალტბეტონის საფარის გეომეტრიული
პარამეტრების დადგენა და მისი სიმტკიცის მახასიათებლის განსაზღვრა ურღვევი მეთო-
დების გამოყენებით;

ვ) ასფალტისა და ასფალტბეტონის ფიზიკა-მექანიკური თვისებების დადგენა
კერნის ამოღებით და მისი ლაბორატორიაში შემდგომი გადამუშავებით;

ზ) ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ექსპერტული გამოკვლევა
ურღვევი მეთოდების გამოყენებით;

თ) რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირების პარამეტრების და არმატურის კორო-
ზიის ხარისხის დადგენა ურღვევი მეთოდების გამოყენებით;

ი) ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებში აღმოჩენილი ბზარების პარამეტ-
რების დადგენა და მათი გავლენის დადგენა კონსტრუქციის მდგრადობაზე;

კ) მშენებარე და არსებულ ნაგებობებში ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა კერნის ამო-
ღებით, მისი შემდგომი ლაბორატორიაში გამოცდით, და ასევე, ბეტონის ახლეჩის მეთო-
დით;

კ¹) წინასაპროექტო, საკვლევ-სადიეზო სამუშაოების განხორციელება, მიწისა და
შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა და შესაბამის ტენდერებში
მონაწილეობის მიღება; (28.05.2014 N 20)

კ²) ნივთის მფლობელის/ინსპექტირების ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში,
სხვადასხვა დანადგარ-მოწყობილობების (მათი ცალკეული კომპონენტების)
მწარმოებლის/დამამზადებლის მიერ დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობის
გამოკვლევა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და გაცემის უზრუნველყოფა
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; (28.05.2014 N 20)

ლ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით და-
კისრებული სხვა ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა.

3. ლაბორატორიას, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შეუფერხებლად რეალი-
ზაციის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს:

ა) წარადგინოს წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანოებში სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ნაკეთობების
ხარისხის კონტროლის, აგრეთვე სხვადასხვა სახის ტექნიკური, საინჟინრო დანადგარ-მოწყ-
ობილობების დიაგნოსტიკური ლაბორატორიული კონტროლის ღონისძიებათა განხორ-
ციელების თაობაზე;

ბ) მიიღოს საჭირო ინფორმაცია, განმარტებები და ცნობები იმ საქმეებსა და მასალებ-
თან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ნაკე-
თობების, აგრეთვე სხვადასხვა სახის საინჟინრო-ტექნიკური დანადგარ-მოწყობილობების
ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის საკითხებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუ-
შავება-განხილვაში;

დ) მომსახურება გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათთან დადებული
ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ანაზღაურებით, ხოლო სახელმწიფო, აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ თვითმმართველობის ორგანოებს - უსასყიდლოდ, გარდა დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კ¹ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა; (28.05.2014 N 20)

ე) თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს სამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ) განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს კოორდინატორს ან თანამშრომელთა შემადგენლობით ქმნის სპეციალური კონტროლის ჯგუფს;

ზ) განახორციელოს მოქმედი კანონდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

4. ლაბორატორია თავის საქმიანობას წარმართავს სამინისტროს ზედამხედველობით. ლაბორატორია საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია დაკისრებული ამოცანები და ფუნქციები განახორციელოს შესაბამისი სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივ) ორგანოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

მუხლი 3. ლაბორატორიის ხელმძღვანელობა

1. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს მთავრობა მთავრობის უფლებამოსილების ვადით. მთავრობა უფლებამოსილია, მიზანშეწონილობის მოტივით, ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება ლაბორატორიის უფროსის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ლაბორატორიის უფროსი მოვალეობას ასრულებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე. (31.12.2012 N 46)

2. ლაბორატორიის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (შემდგომში – მთავრობის თავმჯდომარე) ლაბორატორიის უფროსის უფლებამოსილების ვადით, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით. ლაბორატორიის უფროსის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მოადგილე ასრულებს მოვალეობას ლაბორატორიის ახალი უფროსის დანიშვნამდე. ლაბორატორიის უფროსის არყოფნის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უფროსის მოვალეობას დროებით ასრულებს ლაბორატორიის უფროსის მოადგილე. (25.01.2013 N 1)

მუხლი 4. ლაბორატორიის უფროსის უფლებამოსილება

1. ლაბორატორიის უფროსი:

ა) კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ლაბორატორიის საქ-

მიანობას, მოქმედებს ლაბორატორიის სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში;

ბ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ დებულებისა და ლაბორატორიის საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე, მათგან გამომდინარე, მთავრობისა და მინისტრის დავალებების ზუსტად და დროულად შესრულებაზე;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ლაბორატორიის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ლაბორატორიის ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხაჯვასა და გამოყენებაზე;

დ) თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ (ადმინისტრაციულ) აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ლაბორატორიის ყველა თანამშრომლისათვის, ასევე ხელს აწერს ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ლაბორატორიის თანამშრომლებს;

ვ) ანაწილებს ფუნქციებს ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ლაბორატორიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების საქმიანობაზე, ატარებს თათბირებს თანამშრომლებთან, პერიოდულად ისმენს მათი მუშაობის შედეგებს, ლაბორატორიის სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას ლაბორატორიის თანამშრომლებსა და სხვა პირებზე;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია ლაბორატორიის თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

თ) უფლებამოსილია ლაბორატორიის სახელით გახსნას და დახუროს ანგარიშები ბანკში, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთახმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) სამინისტროს წინასწარი თანხმობით განსაზღვრავს და ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს ლაბორატორიის საშტატო ნუსხას, ხელფასის ფონდს, თანამდებობრივ სარგოებს და ხარჯთა ნუსხას, ადგენს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ლაბორატორიის ბალანსს;

კ) ამტკიცებს ლაბორატორიის შინაგანაწესს და თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს, უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს თანამშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

ლ) წელიწადში ორჯერ სამინისტროს, ხოლო მთავრობას მოთხოვნისთანავე წარუდგენს ანგარიშს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსური სახსრების გამოყენების შესახებ;

მ) სამინისტროს მეშვეობით მთავრობას წარუდგენს დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მთავრობის დადგენილების პროექტს, სამინისტროსა და მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ლაბორატორიის საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ბ) ლაბორატორიის წინაშე არსებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შექმნას სამუშაო ჯგუფები, მოიწვიოს სპეციალისტები შესაბამისი რეკომენდაციების მოსამზადებლად;

ო) ასრულებს კანონმდებლობით, ამ დებულებით და მათ შესაბამისად მთავრობის ან/და სამინისტროს მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ლაბორატორიის უფროსი არ შეიძლება ეწეოდეს სხვა რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 5. ლაბორატორიის სახელმწიფო კონტროლი

1. ლაბორატორიის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო.

2. ლაბორატორიის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს ლაბორატორიის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ლაბორატორიის უფროსის არამართლზომიერი გადაწყვეტილება. მინისტრს უფლება აქვს ლაბორატორიის უფროსს მოსთხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია.

4. ლაბორატორიის უფროსი ვალდებულია წელიწადში ორჯერ სამინისტროს, ხოლო მთავრობას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს წერილობითი ანგარიში ლაბორატორიის მიერ განხორციელებული საქმიანობის, მათ შორის, ფინანსური სახსრების თაობაზე.

5. ლაბორატორიის საქმიანობის შესამოწმებლად საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელ აუდიტორს ნიშნავს სამინისტრო.

მუხლი 6. ლაბორატორიის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ლაბორატორიამ სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. ლაბორატორიის ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ლაბორატორიას აქვს საჭირო განცალკევებული ქონება, რომელიც მას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისაგან.

2. ლაბორატორიის ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე ლაბორატორიის ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება. ასეთ ქონებაზე ლაბორატორიას აქვს უსასყიდლო სარგებლობის, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება.

3. ლაბორატორიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება რჩება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში.

4. ლაბორატორიის ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ლაბორატორიის ფინანსები

1. ლაბორატორიის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს:

- ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;
- დ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- ე) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ლაბორატორიის ხარჯების ანაზღაურებას, თანამშრომლებზე ხელფასების გაცემას, შესაბამისი ნორმატიული აქტებითა და დებულებით გათვალისწინებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. ლაბორატორიის სახსრებისა და შემოსავლების რაიმე სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 9. ლაბორატორიის საბუღალტრო ანგარიშგება

1. ლაბორატორია ვალდებულია კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო საბუღალტრო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

2. ლაბორატორიის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 10. ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მთავრობის დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.